

ყვარლის მუნიციპალიტეტი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების  
სათადარიგო ნაწილების შესყიდვა გამარტივებული  
ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია



2012 წელი 13 აგვისტო  
ქ. ყვარელი

## სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია
2. შესყიდვის ობიექტის აღწერა
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დამატებითი ინფორმაცია
6. დანართი N2 - სატენდერო წინადადება
7. დანართი N3 - რეკვიზიტები, ვადები, ანგარიშსწორება
8. დანართი 4- ხარჯთაღრიცხვა

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

ყვარილს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების სათადარიგო ნაწილების\_\_\_შეკენის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერიში ტექნიკურ დოკუმენტაციას წარმოადგენს:

- 1) ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ (დანართი № 3 შესაბამისად);
- 2) გასაწვევი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა ( ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი № 4 შესაბამისად)
- 3) სატენდერო წინადადება დანართი N#4 -ის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორება განხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი)კალენდარული დღის განმავლობაში.

ბ) საქონლის მოწოდების განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან **31 დეკემბრის ჩათვლით**

გ) სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

დ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

ე) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

## 3. შესყიდვის ობიექტის აღწერა:

3.1.1 შესყიდვიდ ობიექტს წარმოადგენს: ყვარილს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების სათადარიგო ნაწილები

3.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია დანართ №4-ში აღნიშნული საქონელი მიიტანოს მითითებულ ტერიტორიაზე.

3.3 სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადები:

- 3.3.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ყვარლის მუნიციპალიტეტი .
- 3.3.2 საქონლის მოწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან **31 დეკემბრის ჩათვლით**

#### 4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (პროექტი) ხელშეკრულება №

ქ.ყვარელი

„----“ ----- 2012 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში “შემსყიდველად” წოდებული, წარმოდგენილი გამგებლის ბესიკ ზანდარაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ----- (შემდგომში მიმწოდებელი) შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული **ტენდერი** ყვარლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების სათადარიგო ნაწილების\_\_\_**შესაძენათ**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ----- სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება -----  
----- ლარად შეასრულოს აღნიშნული საქონლი.

##### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) „სახელმწიფოშესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზეთანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;
- 1.2. „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან“გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს

„შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

## **2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია: ყვარილს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების სათადარიგო ნაწილების\_\_\_შეძენა

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია დანართ №4-ში

## **3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

## **4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებულის საქონლის ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

## **5. მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. „მიმწოდებლი“ „შემსყიდველს“ ეტაპობრივად წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

5.2. ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: მოწოდებული საქონლის დასახელება და ღირებულება;

## **6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

6.1. საქონლის მოწოდების ადგილად განისაზღვრება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული მისამართი;

6.2. „მიწოდებელი“ საქონელს მოაწოდებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### 7.1 „შემსყიდველის“ უფლება აქვს:

- „მიწოდებელისაგან“ მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

### 7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 7.3 „მიწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესრულებული მოწოდებული საქონლის ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

### 7.4 „მიწოდებელი“ ვალდებულია:

- მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, სათანადო ხარისხითა და სრული მახასიათებლებით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;
- იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებოლი საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებაც მაც წერილობით აცნობებს „შემსყიდველი“) საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.
- 2 წლის განმავლობაში აღმოფხვრას თავისივე ბრალეულობით წარმოქმნილი ხარვეზები

## 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის

დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი ჯგუფი

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამირი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი)%-ს „შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს „მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

## **11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა..

11.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## **12. ფორს-მაჟორი**

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის



გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

#### 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

#### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში**; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

#### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>„შემსყიდველი“</u>	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	
ტელ: (+995) (252) 2-12-01	
მისამართი: ქ. ყვარელი კუდიგორის ქ 1	

საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი“ ბანკის ყვარლის ფილიალი	
ბანკის კოდი --LBRTGE22	
ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00	
საიდენტიფიკაციო კოდი - 241578574	

**შენიშვნა:** ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

### 5. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია ყვარლის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ყვარელი. კუდიგორის ქ. №1, მეორე სართული. საკონტაქტო პირი: თენგიზ ბუჯიაშვილი ტელ: 877-95-50-51

## დანართი N2

### 7. სატენდერო წინადადება

თარიღი: \_\_\_\_\_

ვის:

\_\_\_\_\_ (შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან:

\_\_\_\_\_ (პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევსწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

შესრულება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

\_\_\_\_\_ (ციფრებით)

\_\_\_\_\_ (სიტყვიერად) \_\_\_\_\_ (ვალუტა).

**ალტერნატივა (ალტერნატიული წინადადების წარდგენის დაშვების შემთხვევაში):**

\_\_\_\_\_ (ალტერნატიული წინადადების არსი და ფასი)

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ სამუშაოს შესრულება \_\_\_\_\_ დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ “ხელშეკრულება”) ძალაში შესვლიდან \_\_\_\_\_ დღეში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია \_\_\_\_\_დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: \_\_\_\_\_ .

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონსა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ” დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):\*

1. წინამდებარე სატენდერო წინადადება (დანართი N2)
2. რეკვიზიტები, ვადები, ანგარიშსწორება (დანართი N3);
3. ფასების ცხრილი (დანართი N 4);
4. -----

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(თანამდებობა)

(პრეტენდენტის დასახელება)

\_\_\_\_\_  
\* სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია, მასალები, ცნობები. აუცილებელ დანართს წარმოადგენს ფასების ცხრილი).

## დანართი N3

### 8. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

### 8.1. საქონლის მიწოდების ვადები:

-----  
-----  
-----  
-----

### 8.2. ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:

-----  
-----  
-----

სატენდერო წინადადების ვადა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

ხელმოწერა, ბეჭედი -----

თარიღი -----

